

# დროშა

გამოდის ყოველ დღე ორგანოთს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რუკა... ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე...  
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდე წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.  
ცაღკ ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპიკი

«დროშის» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.  
ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисъ, въ редакцію «Дроша»  
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

არწრენის თეატრი.  
დღეს, 12 თებერვალს  
ბენეფისი  
3. მელიქოვისა და ა. ჩუბინოვისა  
ქართული დრამატული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება  
I  
შერი შერსა მაღლი ლმერთა  
კომედია 3 მოქმედებად, რუსულიდან  
გადმოკ. ა. შიჭინაძისაგან.

II  
სუსტი მხარი  
ეოდველი 1 მოქმედ., გადმოთარგმნილი  
გმნილი დ. მესხისაგან.  
დასაწყისი 8 საათზე. (2—2)

ტფილისის უაზღის კათილგო  
ბილთ წინამძღოელი უმორჩილესად  
სად სთხოვს თავად-აზნაურობას  
ტფილისის უეზდისსა, მობძანდენ  
კვირას ცხრაშეჯს ამა თებერვლისსა,  
თერთმეტს საათზედ დილით,  
განსაკუთრებითს უეზდის თავად-  
აზნაურობითს შეკრებილებაში,  
ტფილისის თავად-აზნაურობის  
საადგილ-მაძელო ბანკში, შე-

«დროშისა» ტელტონი, 11 თებერვ.  
თეატრის ხუთი  
(გორის ურდობის შესახებ).

„გველსა ხერულით ამოიყვანს ენა ტუბლი მოუბარი“

დიდ გვალვას დიდი ქარიშხალი და  
თქმე მოსდევს. მოკაშკაშებული ცის  
კიდებებამ ამოჰყოფენ ხო ღმე ღრუბ-  
ლები თავებს; ჯერ ეს ღრუბლები  
თეთრია, შემდეგ თანდათან ფერს  
ცვლილობენ, გადქვიან ლაყვარდს  
ცას და ქვეყანას რომაბნელებენ.  
აგერ წყეტულმა ბებერმა - როკაპმა  
მოხსნა ტომარას პირი და მიუშვა  
ღრუბლებზე ქარიშხალი, რომ გაჰფან-  
ტოს, მიგლიჯ-მოგლიჯოს და მითი  
ქვეყანას მოაკლოს წაში. მაგრამ და-  
ტიკნულს და წამებით დამძიმებულს  
ღრუბლებს როკაპის მისირანება ვერას  
აკლებს: ცამ მრისხანედ იტეპა და  
ქვეყნად დაააღუბით წამოვიდა წვიმა  
მწყურვალთ ნიადაგის გასაქვინათ.  
როკაპს შერჩა თვისი სიამაყე; ქვეყ-  
ნამ გაიხარა; გაღალანდა მცენარეუ-  
ლობა; გულს ნათელი მოეფინა გაბა-  
ნილი ბუნების ცქრიით. შევლა სულ-  
დამებული გაქვიტლა, გამალხანდა,  
ყველამ ბუნებას მოუღონა.

ასრეთ მდგომარეობაში ვიყავით  
თებერვლის ხუთამდინ. ამოკვირა  
პირები, ობი მოგვიკადა ამდენმა სი-  
ჩუქემ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯო-  
ბესობაზე; დაგვიდგა გოლია; მაგრამ  
უცხად თავად-აზნაურთა კომისი-  
ით გვიჩადა: მოამზადა სიები თავად-  
აზნაურთა შეილებს აღსაზღვლოდ.  
პირველს კატეგორიას შეხვდა ორმო-  
ცი თუმანი, მეორეს — ოც-დაათი,

სადგენლად იმ სიებისა, რომლები-  
თაც უნდა გამოერთვათ თავად-აზ-  
ნაურობას ფული, სასარგებლოდ  
თფილისის კეთილშობილოდ დე-  
პუტატთ კრების და მარშლების  
კანცელარიებისათვის და აგრეთვე  
აღსაზღვლოდ თავად-აზნაურობის  
შვილებისა; — ამასაც ვაცნობებ,  
რომელნიც თავად-აზნაურნი არ  
ინებებენ შეკრებილებაში დასწრება-  
სა, უმით თანადასწრებლივ შესდ-  
გება სიები, ზემოთ მოხსენებულ  
საქმის საჭიროებისათვის.

სკანაბი და ბ. მარჯანოვი.  
თბილისი, 12 თებერვალს.

«დროშის» მე-29 №-ში დაბეჭდი-  
ლი იყო წერილი სენთილგან შესა-  
ხებ სენთის პრისტავის, ბ. მარჯან-  
ოვის მოქმედებისა; წერილში მოკ-  
ლედ, მაგრამ გარკვევით იყო ნათქვამ-  
ბი, თუ რა საშეაღებას ხმარობს ბ.  
მარჯანოვი სენების ძველებურის და-  
ქორწინების წესის მოსასპობლად: სენ-  
ნებს, როგორც ზოგიერთა სენა მთიულ  
ხალხთა, ჩვეულებად აქეთ საცოლოს  
მოტაცება და მერმედ სასყიდლოს მი-

მესამეს — ოცა; მეოთხეს — ზოგს ათი  
და ზოგს ხუთი თუმანი შეძლებისა-  
და-კვალად; კომისიამ მესუთე კატე-  
გორიაც გამოიგონა, რომელშიაც  
მოაქცია ისეთი ღარიბი და უმამულო  
თავად-აზნაურნი, რომელთაც არავი-  
თარიმე ღონისძიება არა აქეთ ფუ-  
ლის გამოტანისა ამ სასარგებლო და  
სასიკეთო საქმისათვის.

ასრეთი ფულის გაწერა კომისიამ  
მოახდინა თანხმად საგუბერნიო თა-  
ვად-აზნაურთა კრებისა; კომისიამ,  
შედგენილმა წინამძღოლის თ. შ. ბ.  
რ. შალიკოვისაგან, პოლკოვნიკი თ.  
რ. შ. შისთაისაგან, პოლკ. ბ. სი-  
ციანოვისაგან, ანტ. შურცელაძისა-  
გან, ნ. დიასამიძისაგან, თ. ბ. ჯაფ-  
ხი შეილისაგან და ისე რ. შაველი-  
შვილისაგან, — უნდა სთქვას კაცმა,  
ძალიან სინილისიანად იწრომა; მოიხ-  
მო კერძო პირებიც, რომელნიც დახ-  
ლოვებით იცნობენ ჩვენი თავად-აზნა-  
ურობის ავლა-დიდებას, სთხოვა იმათ  
დახმარება ამ საქმეში. შემდეგ კიდევ  
მეორედ გადასინჯა; რამდენიმე პირი  
ერთი კატეგორიად მეორეში გადი-  
ყვანეს; ასწიე დასწიეს. მოამზადეს  
ყოველისფერი. ღანიშნა დღე სხდო-  
მისა. და აი ამოყვეს თავები მოწი-  
ნალმდეგებმა; მოინდომეს საქმის  
მოშლა.

აქა-იქ გაისმა ხმა, რომ მე ბერი  
შემაწერეს; რატომ ამას და ამას ამ-  
დენ-ამდენი არ შეაბეღდეს; მიდგო-  
მით გაუწეხიათო. შულის მიცემას  
კი არავინ უარს არ ჰყოფდა. მაგრამ  
რუსული ანღაზა მოგვსენებთა: „СЕМЬЯ  
НЕ БЕЗЪ УРОДА“, აქაც გამოჩნდენ  
მახინჯები, რომელთაც გააერცვლეს  
ხმები, რომ ერთ გროშსაც არ მიე-  
ცემთო. მართა ხმები გაიზარდენ;  
ამას ზედ დაემატა ერთმანეთის ჯიბ-

ცემა ქალის დედ-მამისათვის. აი, ამ  
წესს გამოუცხადა ბ. მარჯანოვმა სას-  
ტიკი ომი და, როგორც კორესპონ-  
დენტი იწერება, თითქმის ძირიანად  
აღმოფხვრა იგი. სენებს თითონვე,  
საზოგადო პირობის დადგენით, უარ  
უყვით ძველებური ჩვეულება და პი-  
რობის დამრღვევისათვის დაუნიშნავეთ  
ჯარიმა ფულით (200 მ.). სენებს  
თავიანთი პირობა იმოდენად სინილი-  
სიერად შეუარულებიათ, რომ მხო-  
ლოდ ერთს გლესს დაურღვევია იგი,  
რისთვისაც იძულებული გამხდარა 200  
მ. გარდაცხადა სოფლის საზოგადოე-  
ბის სასარგებლოდ. ბ. მარჯანოვი ყო-  
ველივე ამით არ დაკმაყოფილებულა  
და განუძრახავს ძველებური ჩვეულო-  
ბის ნაშთის სრული მოსპობა; ამისა-  
თვის თითქმის ას ორმოც და ათი ძვე-  
ლებურის წესის ძალით შეკავშირე-  
ბულნი ცოლ-ქმარი ერთი-ერთმანე-  
თისათვის დაუმორებია; დედები, ქმრებ-  
სა და შვილებს შეჩვეულნი, იძულებ-  
ბულნი გამხდარან დაეტოვებნათ თა-  
ვიანთი სიყვარულის საგანი. დამორე-  
ბულ ცოლ-ქმრისათვისაც პირობა ჩა-  
მოურთმევიათ, რომ არას გზით აღარ  
აღადგინონ ერთმანეთს შორის კავ-

რობა: თუ ამანა და ამან ილაპარაკა  
ყრილობაზე, მე ჩემი პარტიით ვიქნე-  
ბი, ყველას უარს ვათქმევინებო.

თებერვლის ხუთისთვის სწორედ  
სამინელ ქარიშხალს მოველოდით,  
რომელიც ჩაფუშავდა კომისიისაგან  
აშენებულს საქმეს. მაგრამ იტყვიან:  
როგორც ჰქუხს, ისრე არა წვიმსო.  
უტკუო მტერი ბაქი-ბუქობს, რომ-  
ლითაც ვითომ გაშინებს; ის კი არ  
იცის, რომ თვისგანვე, თავის ბაქი-  
ბუქითვე აყენებული მტერი, მასვე  
სთხრის თვალებს და ტლედ ედება  
ისეც მყრალ გულზე. წინამდებედ  
ქვიანი მტერი თავის განზრახვებს  
არ გამოამქლარებს; იგი თავის მოქ-  
მედების პლანებს მხოლოდ თავის პარ-  
ტიას განუზარებს, რომ მოწინააღმ-  
დევე მხარეს ისეთ დროს დაეცეს  
იერიშით, რომ გონსაც ვეღარ მოვი-  
დეს.

მაგრამ მე რაღას ებოდამ? ღირს კი  
ამაზე ლაპარაკი! შიპრშავებოდ ქვე-  
ყანას არ უცხოვრია და ვერც იცხოვ-  
რებს. ორიოდვე პირშავი რომ არ  
გამორეოდა ჩვენს ყრილობაში, მა-  
შინ ხრამ ეს ჩემი ფელტონიც არ დაი-  
წერებოდა...

ბათენდა თებერვლის ხუთი, სხდო-  
მა იყო თორმეტ საათზე დანიშნული  
ქალაქის საბჭოს ზალაში. თორმეტის  
ნახევარზე შევალე საბჭოს დარბაზის  
კარები. დარბაზი გატენილი იყო ხალ-  
ხით; ნემსის კურწიც არ ჩაეარდებოდა;  
იღვა სამინელი ღრიანცელი, ღო-  
ლალი; კაცის ყურს ესპადა მხოლოდ  
ერთნაირად გაბმული ყრუ ხმა; ვინ  
რას ამბობდა; ვინ ვისკენ იყო; ვინ  
რა აზრს ადგა, კაც ვერ გამოარ-  
კვედა. სწორედ ბაბილონთა ენების  
არევის მოგონებდა. ხალხი თანდა-  
თან შეხურდა; ჯგუფ-ჯგუფად დაი-

შირი. წინამდებე შემთხვევაში იმა-  
თაც ჯარიმა გარდაცხდათ.

მს გარემოება ჩვენ ხელ-მეორედ ფუამ-  
ბეთ მკითხველს, რადგანაც იგი ფრიად  
საგულისხმო და მნიშვნელობიანი;  
იგი ჩვენ ნათლად გვიხატავს იმ სა-  
შუალებებს, რომლებითაც ზოგიერთნი  
მოქმედნი პირნი, შეიძლება სრულის  
გულწრფელობით, ნერვენ და აგრ-  
ცვლემენ სხვა-და-სხვა ადგილებში და  
ხალხებში ახალს წყებებს, იმ წყებებს,  
რომელთაც არავითარი კავშირი არა  
აქეთ ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან,  
წარსულთან და წინ-ჩვეულებასთან;  
აი, ამ გვარი ხალხის გამწვრთნელი და  
განმანათლებელი ხმარობენ ერთობ  
სასტიკს ზომებს თავიანთი აზრის გან-  
სახორციელებლად, თუმცა, როგორც  
ცხოვრება გვიმტკიცებს, რომელიმე  
ახლის წესის დამყარება ზოგჯერ ადა-  
მიანური საშუალებითაც ადვილი მო-  
სახერხებელია. ისინი მოწადინებულნი  
არიან თავიანთ ერთხელვე შედგენილს  
აზრს შეთანხმონ უცხო ხალხის ცხოვ-  
რება და არა თვისი აზრი ხალხის ცხოვ-  
რებას; იმათ ვერ შეუფნიათ, რომ ხალ-  
ხის ცხოვრება, რაც უნდა მარტივი  
იყოს იგი, ღირსია მომეტებული ყუ-

ყენენ. წინამდებე ჩემი მოწი-  
ნამდებეგენი; ჩამომხდარიყენენ სკა-  
მებზე; განგებ ჩალობილიყენენ, რომ  
წინ არავინ გადემოთ; მოწინამდე-  
გეთა, ანუ მარჯვენა მხარელების-  
თავში იჯდა ბ. ორატორი კასანია,  
კად წოდებული. — მსგავსი მუდამ  
მსგავსს ეძებს; ყველა, ვისაც კი რამე  
ხინჯი ჰქონდა გულში, ვინც კი ასე  
თუ ისე ეწინააღმდეგებოდა ამ კეთილ  
დაწყობილობას, მარჯვენა მოქცეუ-  
ლიყენენ; მიხუტოდენ ერთმანეთს და  
ჭოტბივით წაყვით თავები; მარცხ-  
ნიე ისინი საქმის მომხრენი, რომ  
გადახედენ ხალხს და შეენიშნენ ამ  
გვარი ორ გუნდად განაწილება, რომ-  
მელიც ისე თავისთავად, განუზრახვე-  
ლად, მოხდა, — სწორედ გითხრათ,  
მიამა; თვალ-წინ წარმოგიდგა თრან-  
სუზების პალატა და ინგლისელების  
პარლამენტი თავიანთი განუწყვეტე-  
ლი მარჯვენა და მარცხენითი.

ამ გაურკვეველი ყაყანის დროს  
დარბაზის კარებმა შეიჭრიალა და ზა-  
ლაში შემოვიდა რამდენიმე ახალ-  
გაზდა, რომელნიც მოულოდნელად  
გაჩნდენ თბილისიდან. უცხად შეწყუ-  
და ხმაურობა ამათ დანახვაზე; არა  
ერთს მემარჯვენეს დააღვირინა ამათმა  
ხილვამ ძმარანადველი; არა ერთს შეა-  
ღმენქინა სახე, მაგრამ რაღა გაეწყო-  
ბოდა.

— შამაგილო, ერთი მაჩვენე-სია,  
გაგიგო ერთი რამდენი მაწერია. —  
მრთს კომისიის წევრთაგანს, ბ. ნ.  
დ., მიაქეს სია საჩვენებლად. წამო-  
უნტება თავადი, შეხედულობით ჯე-  
რედ ყმაწვლა, მემარჯვენე; თვალებს  
აქეთ-იქით აცევებს; სახე, ისედაც წი-  
თელი, ისე გაუწითლდა სიბრაზით,  
რომ სოსხლი ღოკებიდამ გამოხეტქას  
ლამადა; თვალები ცოფიანსავეთ და



რადღებდა, რადგანაც მისი ერთბაშად უარ-ყოფა ყოველად შეუძლებელია ხალხის დაუზიანებლად; იმათ ვერ უგრძნობიათ, რომ ზნე-ჩვეულება ხალხს ძველ-რბილში აქვს გამჯდარი, რადგანაც იგი არსებობს არა ორსა ან სამს დღეს, არამედ რაოდენსამე საუკუნეს. იმათ ან სრულიად არ იციან, ან ავიწყლებათ, რომ ხალხის ზნე-ჩვეულება არის ძალა, რომელიც განაგებს ხალხის ან საზოგადოების წევრთა ურთიერთ შორის განწყობილებას.

ეს საუბარი მთლად ერთიანად მოიტანა ბ. მარჯანოვის საქციელმა, რომელსაც მრავალი მომხრენი ჰყავს ჩვენს ქვეყანაში. თვით კორესპონდენტი, რომელიც მოგვითხრობს ბ. მარჯანოვის მოქმედებას, იმასაც გვიამბობს, თუ როგორ ერთის წარჩინებულის და პატრიცეზულის პირის განკარგულებით ერთს სოფელში ჩააყენეს მთელი როტა მოტაცებულის ქალის გამოსართმევად; მაგრამ როტაც კი ვერას გამხდარა.

ზემოდ ნათქვამიდანა სჩანს, რომ ბ. მარჯანოვის საქციელი სრულიად უაღვრო და მანე იყო და ის არც იყო საჭირო ძველებური წესის მოსასპობლად, რისთვისაც ბ. მარჯანოვს სხვა უფრო მარჯვე და საქმის შესაბამი საშუალება ხელთა ჰქონდა. ჩვენი აზრის სინამდვილე მაშინ უფრო თვალსაჩინო შეიქმნება, როცა ბ. მარჯანოვის საქციელს დალაგებით გავარჩევთ.

ბ. მარჯანოვს განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცია იმისათვის, რომ სვანებს პირობა დაუდევით თავიანთ ჩვეულობის მოსასპობად. პირობას სვანები რიგინად ასრულებდნენ, რაიცა სჩანს იქიდან, რომ მთელის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთს გლეხს დაურღვევია პირობა. ცხადია, რომ თვით სვანებს უგრძნობიათ თავიანთი ჩვეულობის მანებლობა; გარდა ამისა, ადვილად საფიქრებელია, რომ ქრისტიანულმა წესმაც იმოქმედა მათზე; მაშასადამე, ბ. მარჯანოვს თავის აზრის განსახორციელებლად მზა ნიჟაღი ჰქონია და გზა გაკალუელი. იმას შეეძლო მომავალში მოესპო ჩვეულობის განშორება; მაგრამ ამას არ დასჯერებია და საჭიროდ უცნია წარსულშიაც კი მოესპო კვალი სვანების ჩვეულობისა, ამისათვის გაუუქმებია ასზე მეტი ცოლქმარობა და მრავალი ოჯახი გაუუბედურებია.

ბ. მარჯანოვს ამ საქმეში გარდამეტებული წინდაუხედავობა გამოუჩენია. იმას რომ რიგინად გაესჯა საქმე, უსათუოდ დარწმუნდებოდა, რომ ძველის წესით უკვე შეკავშირებულ ცოლ-ქმართათვის ხელი არ უნდა ეხლო; მხოლოდ მათი ცოლქმარობა კანონიერად უნდა აღეზრა და სამერმეოდ მოესპო ძველებური წესით ცოლ-ქმართა შეკავშირება.

თვისი მოქმედებით ბ. მარჯანოვმა, უეჭველია, მრავალი ზნეობითად

დასტანჯა და ეკონომიურად გაატაკა მრავალი ხალხი, ჩაუტერგა მას არა მარტო თავისადმი დაუნდობლობა და იქნება სიმძულვარეც. მართლაც, რა გრძობით უნდა შეწყურებდნენ ბ. მარჯანოს, მის მომხრეებს და თანამოქმედებს უმეტარნი და ლატაკნი სვანნი. ამ გვარად აობრებულ და განადგურებულ ხალხს უეჭველია, თვითონ ბ. მარჯანოვმა უნდა მოსთხოვოს რიგინად და წესიერად შესრულება სახელმწიფო გადასახადისა, და თუ თავიანთი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე სვანებმა ვერ აღასრულეს, მაშინ იგივე ბ. მარჯანოვი მხედველობაში არ მიიღებს თავისდავე ნამოქმედარს და შეიძლება ფართო გზა მისცეს ზოგიერთა სხვა ზომებსაც.

მრთის სიტყვით, რა მხრითაც უნდა განესაჯოთ ბ. მარჯანოვის საქციელი, ჩვენ ვერას გზით ვერ ვალვიარებთ მის სამართლიანობას და, მაშასადამე, ბ. მარჯანოვს მომხრეებითურთ ვერ გავამართლებთ.

შინაური ძროხისა

წარსულ კვირას მკვლელობა მოხდა ჩვენს ქალაქში: აგლაბარში ერთს აფიცერს მოუკლავს თავისი ცოლი, რომლისთვის ოთხჯერ უსწროლია ჩვევალვერი. აგლაბარშივე ერთს თექვსმეტის წლის, ახლად გა-

ედრუბლა, სისხლ-ცრემლი მოადგასიგვიეს ერთი გოჯი-ლა აკლდა; შემოუტია ღ—ს.

— შენ აქ ხალხს არიგებ! რა შენი საქმეა, რომ საცა არა მგონია და ვისთანაც არა მგონია, მიუჭრები შენ გინდა ძალათი გააღებინო ფული?! —

— შამწვილო, დამწვიდით. მე არავის ვარიგებ; მხოლოდ აქეთ-იქილამ მთხოვენ, რომ ვუჩვენო სიები, გაეგებინო ვის რამდენი აწერია. —

შამწვილებული თავადი თავისას არ იშლის, ჰყვირის, ბორბავს მგლისგან შეშირებულსავით. — მე თქვენ ათასჯერ დამითხოვენინართ, — ეუბნება ღ — გაწითლებულ თავადს, — რომ ყრილობის დროს, საზოგადო საქმის დროს სკანდალს ალაგი არა აქვს; მხოლოდ ჯიბრის გულისათვის სჩადინართ მავას. ჯიბრი სხვაა, საქმე სხვაა. თუ სკანდალი გინდათ, გარეთ გაეწორდეთ; მეიღნები დიღია, სკანდალს დაიტყვს. — ამ დალაგებულმა ლაპარაკმა უფრო ააღვლეა თავადი.

— ბი მავან უნდა სთქვას: ვაი ჭკუისა მჭირსო, აი! — სთქვა ერთმა.

— ნეტა, ესმის, რაზე ბრაზობს? თავის სახლშიაც აგრე იცის. მომრიგებელი შუამავალია, ბატონო, მიხვალ, გავლანძღავს საქმის გაკეთების მაგიერ და გამოგისტუმრებს. მაგასთან ლაპარაკი ღირს?! — დასძინა მეორემ.

— ბატონო წინამძღოლო! დაიწყეთ, რომ ბოლო მოეღოს ამდენს უთავბოლო ყაყანს.

ბაისმა ზარის ხმა; ხალხი დალაგდა; გამოჩნდა გრძელი წითელი სტოალი, რომელსაც უხდნენ საქმის მწარმოებელი და ოარი ქალარა-შერთული პირი. მრთი უფრო მხარბეჭიანი, ბადარი სახე მისი შემოსილია გრძელი და ქალარა წვერით, ფართო, მაღალი და

თეთრი შუბლი წამოჩლილულია მალა ავარცხნილი თმით. ამ კაცს სახეზე ეტყობა, რომ იგი უნდა იყოს პატოიანების ჭურჭელი, თუ შეიძლება ასრე ითქვას, იგი უნდა იყოს გვამი, აღვსილი მამულის და კაცობრიობის სიყვარულით; ჰზის იგი დინჯად, აღუშფოთებელად; ხმაურობას არ უგდებს ყურს, სწერს თავისთვის. ეს გახლავთ ბორის მახრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ძ. რ. შალიკაშვილი.

ამას მარცხნივ უზის წვერი კომისისა; პოლკოვნიკის სერთუკში; ეხეც გახლავთ ქალარ-შერთული; სახის გამომეტყუვლება ამას უფრო ფხიზელი, მალხაზი აქვს; მშვენიერი, მოციანარი თვალები, ცოტად დაკუთლი ცხვირი, რგვალი და სწორე შუბლი; სუთთად და გვერდზე გადაბარცხნილი თმა — აი პორტრეტი მეორე პირისა. ეს არ აშორებს თვალს საზოგადოებას; ეტყობა, რომ ერთ სიტყვას არ ჰკარგავს; ყველას ცქეიტად ადევნებს თვალს; ხანდისხან იღიმება ზოგიერთების სისულელეზე. სახეზე ემჩნევა, რომ ამ ზოგიერთების სისულელე მას გულს უკლავს, გული უღუღღებდა, თვალებში ცრემლი ადგება იმის ნიშნად, რომ ამ... არ იციან, რას შერებინ და ამ კეთილ საქმეს ფხის გამოდებს უპირობენო. — მს განლდათ პატოიანობით აღვსილი, ყველასაგან პატივცემული თ. რ. შ. პირისათვი.

აგერ წამოდგა წინამძღოლი, წამოდგა დინჯად და დინჯადვე მიმართა საზოგადოებისკენ მშვენიერს, გრძობით საესე სიტყვით. მაგრამ სიტყვამ ვერ იქონია ჯეროვანი გავლენა ხალხზე, რადგან წარმოთქმული იყო იგი რუსულ ენაზე, რომელიც თითქმის მომეტებულ ნაწილს

თავად-აზნაურობისას არ ესმოდა\*). აქ წამოდგა თ. რევაზ პირისათვი და გარკვევით, გრძობით და აღტაცებით, როგორც ნამდვილმა ორატორმა, წაიკითხა ქართულად იგივე სიტყვა, თქმული თ. შალიკაშვილისა:

«ბატონებო! ჩვენ შევიკრიბებით დღეს განსახილველად იმისთანა საქირო საგნისა, რომლის წინაშე ყოველივე ჩვენი პირადი და საწუთრო საქმენი უნდა დავიწყებულ იქმნენ და რომელსაც უნდა შევწიროთ მსხვერპლად გონებთნი და ნივთიერნი ჩვენი შეძლებანი.

«მე მოგახსენებ ჩვენი შვილების აღზდაზე.

«ღაივიწყოთ, ბატონებო, დროებით ჩვენი შეწუხებანი, ჩვენი გაჭირვებანი; შევერთდეთ ძმურად საქმასათვის, და იმედია, რომ სიწმინდე ამ საქმისა დაარღვევს ყოველ დაბრკოლებათა, გაგვამხევეებს და მოგვცემს ძალას, რათა მოვიყვანოთ აღსრულებაში ჩვენი კეთილი ღტოლეობა. — მაშ მოვცეთ ერთმანერთს ხელი ურთიერთობრივის შემწეობისა, ერთხმად და ერთის ძალით განვახორციელოთ ის, რაც თვითეულისათვის შეუძლებელია.

«ჩვენ აღარა გვაქვს სახარბილო მამულები; ამისა გამო ვართ ღარიბად. მაშ რაღა დაგვრჩენია, რომ დავეუტოვოთ ჩვენ შვილებს? არა გვაქვს-რა: არც ძალა, არც დრო, რომ მაგრა მოვიკიდოთ ხელი ჩვენი შვილების მომავალ ბედის გაუმჯობესობას; ეტოვებთ მათ ღეთის ანაბრობაზედ; არ ვიდგენთ თვალ წინ იმას, რომ იმათთვის ლუკმა-პურის მოპოვება იქმნება ბევრად სამძიმო, ვიდრე ეხლა ჩვენთვის. მაშ რა ვქნათ?

\*) შ — მა რიგინად არ იცის ქართული ლაპარაკი.

თხოვილს ქალს მოუკლავს თავი. ბოლოს, პარასკევს, სამს საათზედ შუადლის უკან მოუკლავს თავი ოქრომ-ქედლოვს. ამ უკანასკნელის სიკვდილის მიზეზს — საქმეების ცუდად აწეწ-დაწეწას აბრალებენ.

როგორც რუსეთის ქალაქებში, მუთაისშიაც გაიხსნა 1879 წლიდამ დაბალ მოქალაქეთა გამგეობა (მეწიანის გამგეობა). ღლიდგან დაარსებისა ამ გამგეობამ რამდენიმე მამასახლისი გამოიცივალა, მაგრამ თითქმის არც ერთს კარგი სახელი არ დაუგდია და ზოგიერთებს ვადაზედ წინადაცა სცუილდენ სხვა-და-სხვა უწესოებისათვის. ახლა, როგორცა გვეწერენ, 29 იანვარს ყოფილა მამასახლისის ამორჩევა და ამოუჩრევიათ ამ თანამდებობაზედ მიხეილ მდებროვი, რომელსაც გამოსვლია 268 თეთრი კენკი და 140 შავი.

ხოინდამ გვეწერენ: «ერთი კვირის წინად აქ მოვიდა ქუთაისის გუბერნატორისაგან გამოგზავნილი პირი, რომელმაც გამოუცხადა ხალხს, რომ უსასყიდლოდ თუ დაგვიტომობთ რკინის-გზის გასაქვენ ადგილებსა და მუშაობითაც თუ უსასყიდლოდ მოგვეხმარებთ, მაშინ მმართველობა ხოინში გასაყვენ რკინის-გზის დანარჩენ ახრჯს თითონ იკისრებსო. ამაზე ყველა ხონელებმა ერთხმად იყვირეს: «არ გვინდა, ბატონო, რკინის-გზა; ეგ

მიესცეთ, ბატონებო, ჩვენს შვილებს აღზდა, რომ თვითონ გაიკვლიონ გზა ცხოვრებისა, თვითონ დაირჩინონ თავები; მიეცეთ მათ ღონის-ძიება უფრო მოფიქრებულის, შეგნებულის და სასარგებლო ცხოვრებისა მომავალში.

«შეიბრალებთ შვილნი, რომელნიც გვედრებიან თავიანთის აღზდისა და განათლებისათვის... მოგწმინდოთ ცრემლნი დედათა; ნუგეშეცეთ ობოლთა; გახედეთ ღირს შვილებად ჩვენთა წინაპართა, რომელნიც შრომით და ტანჯვით იცადენ სამშობლოს, რომელნიც სწირავენდენ მამულს მსხვერპლად თავიანთ სიცოცხლეს, რომელთაც დაიცვენ და შეინახეს უენებელად საქართველო.

«ღეს ჩვენ, როდესაც ვცხოვრობთ საფარველსა ქვეშე დიდის ხელმწიფისა მშვიდობიანად და აღუშფოთებულად, დაფიჯრო ეხლა მაინც არ შეესწირათ მსხვერპლად საზოგადოების ტრანეზზე არა სიცოცხლეს, არამედ ნაწილს ჩვენი შეძლებისას?

«ძეთილ-შობილსო, ბორის მახრის თავად-აზნაურსო! ღაივიჯრო, ჩვენ ჩამოვრჩებით უკან ჩვენს თანამოქმედებს, სხვა მახრების თავად-აზნაურთ მსხვერპლის შეწირვაში და გახედებით მიზეზად იმისა, რომ ამ წმინდა და დიდმა საქმემ არ მიადწიოს თავის საგნამდე? ღაივიჯრო, უარყოფთ იმ ყველასაგან შეგნებულს აზრს, რომ მიეცეთ ჩვენს შვილებს შეძლება მიუტოლდენ განათლებულ ხალხებს?

«ძომისიამ, არჩეულმა თქვენმიერ 27 მარტს 1880 წ., მოახდინა ფულის გაწერა თანხმად საეკუბერნიო თავად-აზნაურთა კრებისა 7 მაისიდან 1872 წლისა, რომელსაც ვადგენთ თქვენს წინაშე დასამტკიცებლად. ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი





კი არა, ნეტავი, დემოკრატული გაგწერო-  
მოდა და არც სემინარიის გადმოტა-  
ნისთვის გაგვეტყუებინა ტყუილად თა-  
ვიოა. მსეთი უარი მარტო ხონმა გა-  
მოაცხადა; დანარჩენი რვა სამამასახ-  
ლისო კი თანახმა გახდა.

მეთაისში მალე შეუდგებიან  
რაბინის არჩევას. ამ საქმის თაობაზე  
მოკვირვებდა რამდენიმე წერილი, რომ-  
ლებშიაც ავტორები ნატრობენ,—  
ესლა მაინც რიგიანი რაბინი ღირსე-  
ბოდეს ქუთათურ ებრაელს საზოგა-  
დობასაო. ამ საზოგადოებაში 3000  
მეტე სულია, მაგრამ ძველი რაბინის  
უზრუნველობის გამო, ერთი სასწა-  
ვლებელიც არ არსებობს და, აი, სწა-  
ვლის მოსურნე მშობლები თავიანთ  
შვილებს სომხის სკოლაშიაც კი აძ-  
ლევენ, ოღონდ უსწავლელები არ  
დავდნონ.

ბეჭათუნის სტანციის მახლობ-  
ლად არის თურმე ერთი საზოგადოე-  
ბა (ბეჭათუნისა), რომელიც ბედს  
რიგიანი მოხელეებით ვერ დაუსაჩუქ-  
რებია. იქაური მამასახლისი, მომრი-  
გებელ შუამავალის მეოხებით არჩეუ-  
ლი, ისე ბძინებლობს თურმე მთელს  
სოფელს, თითქო ხვანტკრისაგან და-  
ყენებული ფაშა იყოს და მწერალიც,  
რომელსაც ოცი თუმანი აქვს ჯამა-  
გირა წელიწადში, თურმე თვეში ერთ-  
ხელ თუ გაჩნდება კანცელიარიაში,  
თორემ სხვა დროს თავის საქმეებზე

დაბძანდებოა; ასე რომ ხშირად ოცი  
თუმანის გამლევა გლეხები იძულებ-  
ულნი არიან ისევ დიკენებს მიმარ-  
თონ ორიოდ სტრიქონის დასაწერა-  
დაო.

მინ იცის, რამდენია კიდევ სოფ-  
ლის მოხელეებისათვის ამისთანა და-  
ლოცვილი კუთხე ჩვენს ქვეყანაში!

ზახ. «ახალ მიმოხილვას» ატ-  
ყობინებენ, რომ ამიერ ქავკასიის რკი-  
ნის გზის საზოგადოება ჰგზავნის სპარ-  
სეთში კომისიას, რომელმაც სპარსე-  
თის მმართველობას ნება უნდა გა-  
მოსთხოვოს შესახებ რეზტის რომელ-  
სამე ამიერ ქავკასიის რკინის გზის ნა-  
წილთან შეერთებისა. საზოგადოების  
წარმომადგენლებად იქნებიან: ნ. ი.  
ნიკოლაძე და ბ. სტრუგოვიჩიკოვი.

იმევე გაზეთის სიტყვით, აქაუ-  
რი სამოსამართლო პალატის თავ-  
მჯდომარე, ბ. მგოლინი, გადაუ-  
ყვანიათ ამავე თანამდებობაზე პეტერ-  
ბურგში და აქაური სამოსამართლო  
პალატის თავმჯდომარედ ხარკოვის სა-  
მოსამართლო პალატის თავმჯდომარე  
ბ. ზავადსკი დაუნიშნაეთ.

**დროების კორმსკონდენსია.**

სიღნაღი. თუმცა სიღნაღი ძალიან  
დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ ესლა

ვართ, რომ კეთილ-შობილთ ყრილო-  
ბა დაამტკიცებს კომისიის განწერი-  
ლობას ერთხმად და მით მოიხვეჭს  
შთამომავლობის მადლობას.

ამ სიტყვებმა გამოიწვია მარცხენა  
მხარეზე ალტაცება და «ბრაფოს» ძა-  
ხილი. მარჯვენა მხარე, მხარე გათქ-  
მული, რომ როგორმე ფეხი გამოე-  
დოთ საქმისთვის, გაიკინდა. მა სი-  
ტყვა იყო იმათთვის ცივი წყალი, რო-  
მელმაც გონს მოიყვანა პატარა ხანს,  
შეატარებინა, შეაყოყმა. ჩამოვარდა  
სიჩუმე. შეუდგნენ თავმჯდომარის  
წინადადებით სიგის კითხვას. აქ გა-  
ჩნდა ისევ ყაყანი, ჩივილი, წუწუნის,  
რომ არ შეგვიძლიან მაგდენის გადახ-  
და, რომ დარბიი თავდაზნაურობა  
არა კისრულობს ამდენს გადასახადს.  
მთავრობა პრიკაზის ვალს აღარ გვა-  
პატივებს.

ბატონო, თქვენ რად ლაპარა-  
კობთ სხვის მაგივრად? რად აქვებთ  
ხალხს? პირველად და ესლაც ღარი-  
ბი თავდაზნაურობა უფრო მოწა-  
დინებული იყო ამ საქმისთვის ყოვე-  
ლივე შეეწირა. მგენი, მე დარწმუნე-  
ბული ვარ, რომ უარს არ იტყვიან,—  
სთქვა რიხიანად და წყლიანად თ. რ.  
პრისტავმა.

ხალხმა, დარბიმა თავდაზნაურო-  
ბამ, ხმა მოსცა თ. რ. პრისტავს:  
«გვინდა, შენი ქირიმე, გვინდა! ბა-  
ვილებთ ხარჯს».

პაგერ შუა ალაგას სკამზე სდგას  
ერთი ახალგაზდა, თვალეებზე სათვა-  
ლები აწყვია, სახეზე სარკასტიულ ღი-  
მი მოსდის.

ბატონო წინამძღოლო,—დაი-  
ძახებს ეს ახალგაზდა,—მამაჩემს აწერია  
ოც-და-ათი თუმანი. თუმცა ესლა ის  
აქ არ არის, მაგრამ მე გთხოვთ, რომ  
პირველ კატეგორიაში ამწეროთ. და-  
მაწერეთ ორმოცი თუმანი. შეიძლება,  
მამაჩემს ეწყინოს, რომ იმის დაუკით-

ხვად ვუმატებ, მაგრამ არა უშავსრა  
მე ჩემი ჯიბიდან დავეუმატებ ათ თუ-  
მანს,—სთქვა ძ. შავლენიშვილი.

—ჟოჩო, ყოჩაღ! გაისმა ხმა და  
ეს ხმა იყო მეორედ ცივის წყლის  
დასხმა მემარჯვენეებისათვის. ჩაიწერა  
შ—შვილი ორმოცი თუმანიშვილი.

—ბატონებო! სიგის კითხვის დროს  
შეინიშნე, რომ ჩემს ძმებს ზოგს აწე-  
რია ოცი და ერთს ორმოცი თუმანი;  
მე კი ათი თუმანი. თუმცა ამ ჟამად  
ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში  
ვარ, მაგრამ მე არ მინდა ჩამოვრჩე-  
უქან ჩემს ძმებს და საიდამაც იქნება  
ამ სასიქადულო საქმისათვის ოც თუ-  
მანს მეც შევიწირავ ჩემი ღარიბი ჯი-  
ბიდან და ამიტომ გთხოვთ ოც თუმ-  
ანიანებში ჩამწეროთ,—სთქვა ძ. ში-  
ფიანმა ისეთის ხმით, რომელიც ზარის  
წკრილივით გაჟარდა ყველას ყურ-  
ში.—მა მესამე სურა ცივი წყალი მე-  
თქი,—ეთქვი ჩემს გულში,—ახლაც არ  
გამოფხიზლდებით.

—მეც ორმოციში ჩამწერეთ. მე  
ოც-და-ათში, მე ოცში,—გაისმა აქეთ-  
იქიდან სხვა-და-სხვა ახალ-კაზდა თა-  
ვდაზნაურობის ხმა.

—მომატება იყვეს, მომატება და-  
დის ხალხში და ყვირის ბ. შალავან-  
დიშვილი, სირცხვილია! სირცხვილი  
მინ რას იტყვის, რომ დაეკლოთ.

მოკვდა მარჯვენა მხარე; სიტყვა  
ენაზე შეაზრა; აღარ იცის იმათმა  
ორატორმა—რა ჰქვას. ახალ-გაზდა  
ორატორები კბილში მოხვდნენ. პაგერ  
აყაყანდა ვიღაც მარჯვენა მხრიდან,  
მოატრიალა ენა საკბენად; ამ დროს  
წამოდგება ერთი მემარცხენათაგან და  
იტყვის: ბატონებო! გასაჭირი არ არის  
თავად აზნაურობისათვის ერთად-ერთი  
სასწავლებლის გახსნა; ამაზე ბევრი  
ლაპარაკი რა საჭიროა; მივიღოთ კა-  
მისიისაგან შედგენილი სიგები და წარ-  
ვადგინოთ დასამტკიცებლად. თუ გლე-

იმას ორი კლუბი აქვს, სადაც ადა-  
მიანს შეუძლიან ვაი-ვაგლახით გა-  
დააგოროს ჯერ ერთი დღე, ახლა  
მეორე, მესამე და ასე სიკვდილამდის  
დალიოს დღენი თვისნი თავის ნაც-  
ნობებთანა და მეგობრებთან ერთად.  
რასაკვირველია, ერთი კლუბიც კმა-  
როდა და წინად მარტო ერთი იყო,  
მაგრამ ამ კლუბში დროების გატა-  
რებას ხშირად მოსდევდა მრავალი  
შურის-ძიება, ჩხუბი, ზოგჯერ მუშ-  
ტის-კრივიც; იქ იშვიათი არ იყო ქა-  
ლადის თამაშობაში ერთმანეთის აშ-  
კარა მოტყუება, რომელმაც, სხვათა  
შორის, ერთხელ გამოიწვია, შემდეგი  
თამაშა მაყურებელთათვის: ორი დარ-  
ბისელი მოქალაქე ჯერ დარბაის-  
ლურადა თამაშობდნენ; მერე ერთმა-  
ნეთს შეატყეს სრულებით უდარბაის-  
ლო საქციელი—მოტყუება; ამას  
მოჰყვა მკვანძ-მკვანძ სიტყვების სრო-  
ლა,—და ბოლოს, როგორც დამა-  
გვირგვინებელი ჭინალი, ერთმანეთის  
წეწვა—ერთს ეჭირა მეორის წვერი,  
მეორეს კიდე პირველის თმები, ერთი  
აქეთ იწვედა, მეორე იქით, და მათს  
თითო გაწევაზე საშინელი ძალა ად-  
გებოდათ იმ ბუნების სამკაულებს,  
რომელთაცა ჰქვიათ წვერი და თმა.

ამისთანა სურათების ასაცდენად,  
შესდგა პატარა საზოგადოება ამორ-  
ჩეული კაცებისაგან და ითხოვა თა-  
ვისთვის სხვა ახალი კლუბის დაწესე-  
ბის უფლება. 1881 წელს მთავრო-

ბობა დაწყებულადადგებიდგანვე, მუდამ  
ქამს, იხდის წელიწადში თუმნიდან  
ორ თუმანამდე—მე ამითი, ბატონებო,  
იმის თქმა კი არა მსურს, რომ დავა-  
დაროთ გლეხობას, მე შორს ვარ ამ  
აზრიდან—თუკი ის აძლევს გადასა-  
ხადს ათასი სხვა ნაკლებად სასარგებ-  
ლო დაწესებულებათათვის, ჩვენ რა  
დაგვემართება, რომ სამი წლის გან-  
მავლობაში ვერ ვიკისროთ ეს გარ-  
დასახადი ისეთი სასარგებლო დაწე-  
სებულებისათვის, როგორც სასწა-  
ლებელია.

არ შეიძლება, ბატონებო, ამ საქ-  
მის გადადება, უნდა ესლავე მივი-  
ლოთ. (შეირილა, ხმაურობა). მთხოვთ  
სიტყვა მომკეთ. ზოგიერთები ყვი-  
რიან, რომ სხვა კომისიას მიენდას,  
საქმე გაგველდეს. მისაც არ უნდა  
შევიწივა, ნუ შესწირავს. მე გთხოვთ,  
რომ ჩემ ცოლსაც დაწეროთ ორ-  
მოცი თუმანი; ამას გარდა, მე ანტ.  
შურცვლაძემ მთხოვა ორმოცი თო-  
მანში ჩაწერა. მთხოვთ ორთავენი  
ჩასწეროთ, სთქვა თ ნ. დიასამიძემ.

ერთ ვაჟ-ბატონს დიასამიძის ღეთის  
წყალობა ღეთისრიღვად ესმის ხოლ-  
მე. მაიგონა თუ არა მან ეს სიტყვე-  
ბი, წამოვარდა ზეზე. ბნებათ გაგა-  
ცნოთ, მკითხველო, სახე ამ გმირისა?  
ინებთ: ეს გმირი ვახლავთ ახალ-გაზ-  
და, ჩასუქებული როგორც სახატო  
კურატი; მოწითაო წვერ-ულგაშით;  
შესაყარად თითქო ტკბილია, მაგრამ  
ერთს წამს გადაგებრუნდება და სულ  
ჩაგაშხამებს. ამის საქმე მთელი ოც-  
და-ათის საათი რომელიმე დულცი-  
ნიზე ფიქრი და დევნაა. ჯამაგირია-  
ნი ადგილი კარგი უჭირავს; გულზე  
პრაშკა აკრავს და «ქვეყანა და ქვე-  
ყნის საქმე ფეხებზე ჰკიდია». პოველ-  
თინ და ყოველს ქამს წინააღმდეგია  
კეთილი დაწყობილობისა, არ ქართ-  
ველობს, თუმცა მაგისი მამა შესა-

ბამ დართო ნება სხვა კლუბის და-  
არსებისა და ამ სახით სიღნაღში  
გამართა ორი კლუბი. ორივე საქ-  
მე ჯერ ერთხარად კულად მიდიო-  
და, ერთმანეთში კინკლაობაც, მასხა-  
რობაც და შურის-ძიებაც ძალიან ბევრი  
იყო. ბოლოს ახალმა კლუბმა გამარ-  
ჯვა. თუმცა აქამდის სული კბილვით  
ძლივს ეჭირა, რადგან შემოსავალზე  
სუსტადა ბძანდებოდა, მაგრამ ესლა  
მისი საქმე იმ დონეზე დადგა, რომ  
შეუძლიან არამცთუ დააკმაყოფი-  
ლოს თავისი მეტად მკირე ხარჯი,  
არამედ მართლთა გასართობ ადგილად  
გადაეკცეს თავის წვერებს.

და იმ დროს, რდღესაც ახალი  
კლუბი წარმატებაში შედის, ძველს  
დღე-დღეზე უჭირდება საქმე, მით  
მომეტებულად, რომ მას თანდისთან  
ეცლებიან ბურჯივით წვერები და გა-  
დმოდიან ახალს კლუბში. შექველია,  
კარგი იქნება, რომ ეს ორივე კლუ-  
ბები დროზე შეერთდნენ, რაკი ორ-  
თავეს მკირე შემოსავალი აქვთ და  
ამიტომ რიგიანი ვერა მოუხერხებიათ  
რა ცალ-ცალკე, მაშინ როდესაც  
ერთად უფრო ადვილად და უკედ  
იმოქმედებენ. მათი შეერთებით სხო-  
ლოდ მოგებაში იქნებიან სიღნაღე-  
ლები და ზარალი კი არა წარმო-  
სდგება. ადრე თუ გვიან, ძვეს  
შეერთება არ ასცდებათ; მაგრამ ძვე-  
ლი კლუბი მაინც თავისაზე სდგას  
და, თავ-მოყვარეობის გამო, ეთაკი-

ნიშნავი ქართველი იყო, თუმცა მა-  
გისი ბიძა თ. რ. ში პატროსნებით  
სავეს ქართველია და აგერ მის თვალ-  
წინ ცხარედ ესარჩლება კეთილ საქ-  
მეს.—წამოვარდა ეს აშშორებული  
სურა, ეს ხავს მოკიდებული ქურქე-  
ლი და ამოაქცია მყარალი წყალი,  
რომელიც მსვე აალოკინეს, და სთქვა:  
«მე არას ვაძლევს!» და დაჯდა. «ნუ,  
ნუ იხამ მაგ საქმესას!»—«იი ბარაქა-  
ლა, აი ბარაქალა!» მაისმა ხმ. მ. რს  
შესანიშნავს სურათს წარმოადგენ-  
დენ ამ გმირის ორი ბიძა: ერთს გუ-  
ლი ამეღვრა, სკამზე შემოტრიალდა,  
ცეცხლივით აენთათ და სირცხვილი-  
საგან თავი ჩაღუნა. მა იყო რ. ში-  
მეორემ სიამოვნებით ხელები მოი-  
ფშენილა, შეღებულ უღლაშებს სია-  
მოვნების ნიშნად წამოწვინა დაუწყო. მს  
გახლდათ ბ. ში, რომლის ენა არა  
ერთხელ დატრიალდება ხოლმე, «რო-  
გორც ჯარაა», მოყვასის მოსაკლავად.

—მინ არის ეგა, ვინ, რომ უარს  
შვრება,—ეკითხება ერთი მეორეს.—მე  
ის ვახლავთ, რომელიც «ქავკასში»  
აქხადებს, რომ დეიკუნნი დოგოგორე-  
ბი მარტო ამასა და ამას მიუტანეთო.  
საცა ეს გამოაცხადა, სხვას რას არ  
იზამს. მაგრამ მაგისთანა კაცს რა  
გასწორებს საფლავის მეტი.—მაგის-  
თანეებზე ამბობს ლ. ბურამშვილი:  
«ზოგს კაცს საკმლად მიუჩინს თვისი  
სიმყარლის სუნება; რაგინდ ბევრს აგსა  
შვრებოდეს, არა აქვს მისი წუნება».  
წამოდგა თ. ბ. შ. ში. მს გახ-  
ლავთ მეორე სუნენლების ქურქელი,  
მსგავსი პირველისა. მოჰყვა ტუნების  
კმატუნს და ჰქვეას. წინამძღოლმემ  
დაუქნია ხელი და დასვა ზავ შეგვით.  
ამანაც აილო ქული ხელში და გამო-  
უდგა პირველს. წადი, მე არა-კაცო,  
წადი, ეთქვი გულში; რა შენი საქ-  
მეა იქ ყოუნა, სადაც კეთილ საქმე-  
ზეა ლაპარაკი.

(შემდეგი იქნება)





ლებს დაპროჩილდეს ახალი კლუბის წევრებს, რომელნიც უფრო მოსაწონ- დი არიან, ვიდრე ძველი კლუბის წევრები თავის დამოუკიდებელი ჩხუბებითა და უთანხმოებით.

### ტელეგრაფი

(ჩრდილოეთის სააგენტოსია.)

10 თებერვალს.

**მოსკოვი.** სერგიევის პოსადში განიხილა საქმე გლენის ველგოვი-სა და მოქალაქის გრიგორიევისა, რომელთაც ბრალდებოდათ თავდასხმა იგუმენის მამა იოილისა; ნაფიცმა მსაჯულებმა დაამტკიცებდნენ მართლ ვადგოვი, რომელსაც სამსჯავრომ გადაუწყვიტა კატორგაში გაგზავნა ექვსის წლის და რვა თვის ვადით ქარხანებზე სამუშაოდ.

**ტულა.** გარჩივეს საქმე როსის მზღვეველი და ტვირთების მგზავნელი საზოგადოების აგენტის დოკინინისა, რომელსაც ბრალდებოდა 24,000 მანეთის შემხარჯვა; თვით ბრალდებული უარს არ ამოხდა ამ ფულს შემხარჯვაზე; მაგრამ მინც კიდევ გაამართლეს ნაფიცმა მსაჯულებმა.

**სუაქიმი.** გუშინ ტოკარის გონიზონი დამორჩილდა აჯანყებულებს; დამორჩილებამდინ ბევრი სალდათი გაიქცა, ამის გამო გონიზონი შესუსტდა და მტერი ვეღარ მოიგერა.

**ლონდონი.** როდესაც ოფიციალური ცნობა მოვიდა ტოკარის დამორჩილების შესახებ, მინისტრების რჩევა მაშინათვე შეიკრიბა.

11 თებერვალს.

**პეტერბურგი.** «ნოვოე ვრემია» იუწყება, რომ ზოგიერთა ტომთ, რომელნიც რუსეთის ავგანის სამფლობელოთა შორის ნეიტრალურ ადგილზედ სახლობენ, მიმართეს რუსეთს, რათა ამ უკანასკნელმა თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს იგინი. თავიანთ თხოვნას იმითი ხსნიან, რომ ავგანელებმა დაიჭირეს სამზღვარზე მდებარე ნეიტრალური პროვინციები შეაგანი და ვანანიო.

შეტერბურგის სათავად-აზნაურო კრებაში შეუტანიათ წინადადება იმის შესახებ, რომ დამორჩივითი თანამდებობანი და ზოგიერთა სამუდამო თანამდებობანიც ეძლეოდეს თავად-აზნაურთ შთამომავლობის პირთ კრებამ გაცხარებული ბასის შემდეგ გარდასწყვიტა: არ განიხილოს ეს წინადადება და პირ-და-პირ შეუდგეს მორიგ საგანთა განსჯას.

**სუაქიმი.** ჯამუშებს მოუტანიათ ამბავი, ვითამც ტოკარის კომენ-

დანტს აჯანყებულების წინამძღოლი ოსმან დაჰნა ენახოს და ხელი მოეწეროს სიმაგრის დამორჩილების პირობაზედ. რადგანაც დამორჩილების შესახებ ნამდვილი ცნობები არ არის, გრამამა უბძანა, რათა საჩქაროდ მოემზადნენ მტერზე მისასვლელად.

**ლონდონი.** ტოკარის დამორჩილების ამბავმა აქ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: ეშინიანთ აჯანყებულები სუაქიმს არ დაეცნენო. გუშინ სადამოზე შეიკრიბნენ სათათბიროდ, კემბრიჯის ჰერცოგი, გენერალი უელსლი და მარკიზი ჰარტინგტონი.

### განსხადებანი

#### ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 შ. 10 კ.	1 შ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რეოლვერები, კრაკოტები, სურსათი, ჩაი, ჩაი, გასაღებები, დასები, გოგნები, ტანსაცმელი, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანტუტები, მურაბები, მაგნიზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—გაცის და ქაღალდი, სელ-სასონები, მაკინტოშის კალენკორა—სულ ვეღლაფერი 25-დან 50 პრინციპით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაჲ მადანიაში.

ვინც ქაღალს გარედა 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოაწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდას. (100—80)

### პ. ნულსკიის სტამბა

ქეთაისში დაბეჭდა და გამოვიდა ქართული «ქალის ქალმდარი», სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები. ფასი სამი აბანი ას-ასობით შეიძლება წესიერი პატივი. იყიდება «მეშხის ტყალსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შური, უსურათოდ შეიძლება ას-ასობით შეიძლება წესიერი პატივი. (30—26)

### აუკირონი

უაგათოგით 25 თებერვლიდან 1884 წ. აშიარ კანკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიპაზუი განსახილად ვერსსლეულთა, ოკროულთა და კვირვან ნივითა, როგელთას ვალა გაუვილათ აკრილილგან 1 ივნისამდინ. (3—3)

### ამერიკელი კაილის ვიზი

**ლოქოტი ვოლტერი**  
ბოლოვინის პროსექტზე, შიოვეის სახლებში, ერთი პისაელი პეტლის ფოტოგრაფიიდან. იღებს პაციენტებს ელოვინური კბილების ჩასასმელად, სპერიკულს სისტემაზე, როგორც მთელი ყბებისას, აგრეთვე ცალ-ცალკე კბილებისას, რომელნიც არაფრით არ განიჩივიან ნამდვილისაგან და რომლებითაც სრულიად თავისუფლად შეიძლება საქმლის ღებვა. მარჩენ კბილის ტკივილებს ჩემგან კავოგონილის საშუალებებით და ვუკეთებ კბილებს პრაქტიკაში ცნობილ პლომბებს, მაქვს კბილის ელექსირი, რომელიც ამავრებს ღრძილებს, კბილებს და ცუდს სუნსა სპობს პირში, კბილების პარაზოკი, რომელიც ათეთრებს და ასუფთავებს კბილებს; ეს საშუალებანი მოწონებულნი არიან მედიცინური დეპარტამენტისაგან და მათი ხმარების ნებაც მაქვს ამავე დეპარტამენტისაგან. მიღებ პაციენტებს დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდინ. მთხმბ-თობით და შაბათობით ვიღებ ღარიბთ უფასოდ დილის 9 საათიდან 11 საათამდინ. (5—5)

ბაია არჩენს მშობიარებს, დიქტერიტით ავადმყოფებს და აგრეთვე მუწუკანებს ეგებარი მალამოთი. ადრესი: პატარა წყლის ქუჩა, სახლი № 7. (7—2)

### ქურნალი „ივერია“


(წელიწადი მერვე)  
ამ 1884 წ. იანვრიდან ქურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა მიიღება**  
თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სამონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური ვიწმარის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».  
ქეთაისში, შალაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.  
ბათუმში, «წერა-კითხვს საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.  
ფსი მთლის წლია 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ქურნალი: **Въ Тифлисѣ, въ редакцію журнала «Иверія».**  
ხვედრი ფული ხელის-მოწერა ქურნალის დაბარებისათავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. (10—7) რედაქტორი და გამომცემელი იღ. ჭავჭავაძე.

### ბილიობრაქიული განსხადება.

**კუნწულა,** ახე მოთხრობანი მოზრდილთა ყრმთათვის, წიგნი პირველი, ი. გოგუშვილის რედაქციით, გამოვიდა სტამბიდან და იყიდება გამოცემლის გრიჭოვის წიგნების მაღაზიაში. ფასი ორი აბანი; ათი კგ შემზღვარის შეიძლება წიგნი დაეთმობა 33 კანკაბათა.  
**ხომლი,** ახე რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილთა ყრმთათვის, შედგენილი იაკობ გოგუშვილის მიერ, იყიდება იქვე; ფასი ექვსი შური; ათი კგ შემზღვარის შეიძლება წიგნი დაეთმობა სუთ შურათა.  
**პარტა სტარტოველონი,** გამოვიდა მორე, შედგენილი მისიანკე, იყიდება იქვე—ფასი სამი აბანი; ათი კგ შემზღვარის შეიძლება გარტი დაეთმობა ათ შურათა. (10—9)

### ინგლისური ჩაინის პარამოლბი



ერთის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დან 8 მანეთამდინ. კიდევ შედგები ნიეთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე; ბრიტანის მეტალის ნიეთები, ჩაინები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის გოგნები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, პირის-ახანი, სტაქნები, სუფოგნივი, საწაო-სკები, რიშეები, გრაფინები, საქაშური თეთრები, ბლუდები, სასალათოები, ტანსაცმელი, სარძევეები, სამარილები, გარნიცის საფხეები, უნაგირები გაცისა და ქაღალსა, ავირები, სფისტები, ტანისამოსის დასაკადებლები, საბადო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისკილები, სურსები, ქაღალდი, კლიტები, ინგლისის თოფები და რეოლვერები, შიყები, წარიადები, კამსიულები, საფანტები, ნიბები, ვატერპროქები, სხხები, ჩუღები, წინდები, სუფრები, საღებავებისათვის რეოლვერი, ემლიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, შიგულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკატრები და სხ. ინგლისურს მალაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უფრადება მიეძღვეთ. (100—59)